31/12/2018

მეუფე დოსითეოსი – პირადად მე, ყოველთვის მხარს ვუჭერდი უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიას, აღმოჩნდა, რომ ძალიან ბევრი მღვდელმთავარიც

პიროვნულად ყოველთვის მხარს ვუჭერდი უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიას, აღმოჩნდა, რომ ძალიან ბევრი მღვდელმთავარიც, – ამის შესახებ ბელგიისა და ჰოლანდიის ეპისკოპოსმა მეუფე დოსითეოსმა უკრაინის ავტოკეფალიის საკითხთან დაკავშირებით განაცხადა. მისი თქმით, იგი როგორც ერთი რიგითი ეპისკოპოსი კმაყოფილია ამ საკითხზე მსჯელობით.

“რა თქმა უნდა, ყველა ელოდებოდა უკრაინის საკითხს. ეს საკითხი სხდომაზე მისმა უწმინდესობამ დააყენა. საინტერესო მსჯელობები იყო წმინდა სინოდის სხდომაზე. მე პიროვნულად ყოველთვის მხარს ვუჭერდი უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიას, აღმოჩნდა, რომ ძალიან ბევრი მღვდელმთავარიც. მოვლენების წინ გასწრება არ გამოვიდოდა ამჯერად სინოდზე, რადგან კიდევ არის წინ ეტაპები, რომელიც უნდა მოხდეს. საფრთხილო საკითხია, რომ რაღაც კონკრეტული გადაწყვეტილება ახლა გამოტანილიყო. ყველაზე ოპტიმალური იყო სინოდის გადაწყვეტილება, გამოქვეყნდება და ნახავთ”, – განაცხადა მეუფე დოსითეოსმა.